შეტყობინება
სს სარაჯიშვილი-ს აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს სარაჯიშვილი იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2026 წლის 09 თებერვალს, 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. N:4

დღის წესრიგი

1. სს სარაჯიშვილი-ს წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისთვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ელგუჯა ბუბუტეიშვილი)
2. სს სარაჯიშვილი-ს 2023-2024 წლების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი)
3. სს სარაჯიშვილი-ს წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე)
4. სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2023-2024 წლების გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გელა შენგელია)
5. სს სარაჯიშვილი-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ელგუჯა ბუბუტეიშვილი)
6. სს სარაჯიშვილი-ს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვის შესახებ.
   (მომხსენებელი: სს სარაჯიშვილი-ს ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი)
7. სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტის მფლობელების მიერ საზოგადოების დანარჩენ აქციათა გამოსყიდვაზე სატენდერო შეთავაზების ნებართვის გაცემის შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე)

სს სარაჯიშვილი-ს სამეთვალყურეო საბჭომ წლიური (მორიგი) საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დაადგინა 2026 წლის 26 იანვარი.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ, მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან და არ გააჩნიათ რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა.

დღის წესრიგის საკითხებზე კენჭისყრა ჩატარდება ღია კენჭისყრის გზით.

სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების პროექტები დღის წესრიგის საკითხებზე და აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრებისათვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები გასაცნობად განთავსებული იქნება სს სარაჯიშვილი-ს ვებ გვერდზე www.sarajishvili.com

სს სარაჯიშვილი-ს ხელმძღვანელი პირი,

გენერალური დირექტორი _____ (ზ.ბუბუტეიშვილი)

16 იანვარი 2026 წელი

სს სარაჯიშვილი • JSC SARAJISHVILI • SINCE 1884 • 209444065